

BAŠKYS v. LITHUANIA

ბაშკისი ლიეტუვას წინააღმდეგ

საჩივარი no. 47410/20

გადაწყვეტილება

22/11/2022

(რელევანტური ამონარიდები)

ფაქტები

მომჩივანი არუნას ბაშკისი, ლიეტუვის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1979 წელს და ცხოვრობს ლიეტუვაში. წინამდებარე საქმე ეხება სასამართლო საქმისწარმოებას მომჩივანსა და მის ყოფილ ცოლს (ა.ბ.) შორის რომელიც მათი შვილის საცხოვრებელსა და ალიმენტს ეხება. წყვილი დაშორების დროს გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობდა. ბატონ ბაშკისს შვილთან, არ.ბ.-სთან, არარეგულარული კონტაქტი აქვს, რაც ასევე სამართალწარმოების საგანი გახდა.

სამართალი

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

29. მომჩივანი უკმაყოფილო იყო ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებით, რომლებშიც დედის სახლი მისი შვილის საცხოვრებელ ადგილად იყო განსაზღვრული. იგი ასევე დავობდა, რომ მას არ ჰქონდა ქმედითი კონტაქტის უფლება. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-8 მუხლს.

სასამართლოს შეფასება

39. მეურვეობისა და კონტაქტის უფლებების ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეში „*Khusnutdinov and X v. Russia*“ (no. 76598/12, §§ 76-83, 18 December 2018).

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის პრეტენზია ორი ნაწილისგან შედგებოდა: პირველ რიგში, იგი დავობდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც ბავშვის საცხოვრებელ ადგილად ბავშვის დედის სახლი დარჩებოდა. მეორეც, იგი უკმაყოფილო იყო იმით, თუ როგორ შეასრულეს სახელმწიფო ორგანოებმა თავიანთი პოზიტიური ვალდებულებები, რამდენადაც ეს ეხებოდა მომჩივნის უფლებას, შეენარჩუნებინა კონტაქტი მის შვილთან. სასამართლო ამ საჩივრებს თანმიმდევრულად განიხილავს.

(ა) საქმე განხილული უნდა იყოს სახელმწიფოს უარყოფითი თუ პოზიტიური ვალდებულებების თვალსაზრისით

41. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მშობლისა და შვილის მიერ ერთად გატარებული დროის ორმხრივი სარგებლობა ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს, მაშინაც კი, თუ მშობლებს შორის ურთიერთობა დარღვეულია და ამგვარი სარგებლობის ხელშემშლელი შიდასახელმწიფოებრივი ზომები კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს - და ამას დაეთანხმა მთავრობაც - რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ მომჩივნის ვაჟი დედასთან უნდა ცხოვრობდეს, წარმოადგენდა ჩარევას მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში, რომელიც გარანტირებულია მე-8 მუხლით (იხ. *G.B. v. Lithuania*, no. 36137/13, § 87, 19 January 2016).

გარდა ამისა, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას, მიიღოს ზომები მის შვილთან გაერთიანების მიზნით და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელოს ასეთი ქმედებები. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მშობლებს შორის წარმოიშობა დავა ბავშვებთან დაკავშირებით (იხ., *mutatis mutandis*, *Manic v. Lithuania* (no. 46600/11, § 101 13 January 2015; *Stankūnaitė v. Lithuania*, no. 67068/11, § 113, 29 October 2019, და *Khusnutdinov and X*, ციტირებული ზემოთ, § 78). ამგვარად, სწორედ კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების გათვალისწინებით შეისწავლის სასამართლო, წარმოადგენდა თუ არა მომჩივანსა და მის შვილს შორის კონტაქტის შესახებ დამცავი ზომების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სირთულეები მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას.

(ბ) რაც შეეხება საცხოვრებლის საკითხს

42. მშობლისა და შვილის მიერ ერთმანეთის კამპანიით ურთიერთსარგებლობაში ჩარევა იწვევს მე-8 მუხლის დარღვევას, თუ ის არ იყო „კანონის შესაბამისი“, არ ჰქონდა მიზანი ან მიზნები, რომლებიც იყო ან იყვნენ ლეგიტიმური მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ზემოაღნიშნული მიზნის ან მიზნების მისაღწევად (იხ. *Strand Lobben and Others v. Norway* [GC], no. 37283/13, § 202, 10 September 2019).

(i) კანონის შესაბამისად

43. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით ჩარევას საფუძველი ჰქონდა ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 3.174-ე მუხლში.

(ii) ლეგიტიმური მიზანი

44. სასამართლოს აზრით, შესაბამისი სამართლებრივი ზომები აშკარად ბავშვების დასაცავად არის შექმნილი და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ამ საქმეში სხვა მიზნით იქნა გამოყენებული. შესაბამისად, სადავო ჩარევას - რომელიც მიზნად ისახავდა არ.ბ.-ს განვითარების დაცვას, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ჰქონდა მთავრობის მიერ მისთვის მიკუთვნებული ლეგიტიმური მიზნები (იხ. ასევე *Z./I. v. Lithuania*, no. 60092/12, § 95 April 2014 და *G.B. v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 90). ამრიგად, განსახილველი რჩება, შეიძლება თუ არა მომჩივნის სასარგებლოდ ბინადრობის უფლების შესახებ ბრძანების გაცემაზე უარის თქმა ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

(iii) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

45. მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2016 წელს მომჩივანი დათანხმდა რომ მის ვაჟს ბავშვის დედასთან უნდა ეცხოვრა. ასევე, როგორც ჩანს, მომჩივნის პრეტენზია ამ ბინადრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოწვეული იყო იმ გარემოებებით, რომ მშობლების მიმდინარე კონფლიქტისა და მტრობის გამო, კონტაქტის შესახებ შეთანხმება რომელიც დაამტკიცა სასამართლომ მომჩივნისა და ა.ბ.-ს მეგობრული მორიგების შეთანხმების საფუძველზე, არ იყო შესრულებული.

46. როგორც არ უნდა იყოს, მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ ლიეტუვის სასამართლოებმა მიიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დარჩენილიყო ბავშვი დედასთან. ეს გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტების დასკვნებს, რომლებმაც გამოიკვლიეს ბავშვი და ოჯახური მდგომარეობა და განაცხადეს, რომ ბავშვს ჰქონდა არასასიამოვნო და მავნებლური განცდა რომ უნდა დაეკავებინა მხარე ან გაეკეთებინა არჩევანი მისთვის მნიშვნელოვან უფროსებს შორის. ბავშვის დედის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ ბავშვი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან და არასდროს უცხოვრია მისგან განცალკევებით. გაურკვეველი იყო, თუ როგორ იმოქმედებდა ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მისი დედისგან დაშორება. რაც შეეხება მომჩივანს, გაურკვეველობა რჩებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად იცხოვრებდა ბავშვი თუ ის მამის მეურვეობის ქვეშ მოექცეოდა. მომჩივანმა თავად დაადასტურა სასამართლოში, რომ მზად არ იყო ბავშვს მასთან ეცხოვრა. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ლიეტუვის სასამართლოებმა მიუთითეს რელევანტური სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (იქვე).

47. სასამართლომ ასევე არაერთხელ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიცავს რაიმე ცალსახა პროცედურულ მოთხოვნებს, ჩარევის ღონისძიებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა

იყოს სამართლიანი და ისეთი, რომ უზრუნველყოს ამ დებულებით დაცული ინტერესების სათანადო პატივისცემა (იხ. *Buscemi v. Italy*, no. 29569/95, § 58, ECHR 1999-VI, და *Elsholz v. Germany* [GC], no. 25735/94, § 52, ECHR 2000-VIII). ამ საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი, პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, ესწრებოდა რამდენიმე სხდომას, სადაც კაუნასის ქალაქის რაიონულმა სასამართლომ და კაუნასის რეგიონულმა სასამართლომ განიხილეს დამცავი ზომები და ა.ბ.-ს სამოქალაქო სარჩელისა და მომჩივნის შესაგებელი სარჩელების არსებითი მხარე. ამგვარად, მას ჰქონდა შესაძლებლობა, ეროვნული სასამართლოების წინაშე წარედგინა მოთხოვნები და მტკიცებულებები, წარმოედგინა თავისი არგუმენტები და კომენტარი გაეკეთებინა სხვა მონაწილეთა მოსაზრებებზე, როგორც წერილობით ასევე ზეპირად და ასევე ჰქონდა სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება. ამ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეუძლია არ დაასკვნას, რომ მომჩივანი ამგვარად იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მას საშუალებას აძლევდა წარმოედგინა ყველა არგუმენტი თავისი მოთხოვნების დასასაბუთებლად - როგორც საცხოვრებელ ადგილთან, ასევე საკონტაქტო უფლებებთან დაკავშირებით, და მას ასევე ჰქონდა წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე, რომელსაც სასამართლოები ეყრდნობოდნენ (იხ., *mutatis mutandis*, *G.B. v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 105).

48. სასამართლომ ერთხელ უკვე განაცხადა, რომ გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, მშობელი ინარჩუნებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, რათა შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბრძანება (იხ. *Z.J. v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 105).

(გ) რაც შეეხება კონტაქტის საკითხს

49. სასამართლო თვლის, რომ მშობლებს შორის დამაბული ურთიერთობის წინაშე მდგარ ხელისუფლებას რთული ამოცანა ჰქონდა. როგორც მომჩივანი, ასევე მისი ყოფილი მეუღლე ერთმანეთის წინააღმდეგ არაერთი სარჩელისა და შესაგებლის წარდგენას აგრძელებდნენ. ბავშვის დედამ პოლიციის ჩართვაც კი მოითხოვა და მომჩივანს ბავშვის დროულად დაბრუნებაში ადანაშაულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარად არასაჭირო იყო. ამგვარად, მშობლების ქცევა შორს იყო კონსტრუქციულისგან, რაც აღიარა ხელისუფლებამ, კერძოდ, ფსიქოლოგებმა და სასამართლოებმა.

50. ამ ფაქტის მიუხედავად, სასამართლოს ჰქონდა შემთხვევა დაედგინა, რომ განცალკევებულ მშობლებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა არ არის ფაქტორი, რომელიც თავისთავად გაათავისუფლებს ხელისუფლებას მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებებისგან. ის ხელისუფლებას აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ზომები მხარეთა კონფლიქტური ინტერესების მოსაგვარებლად, ბავშვის უმთავრესი ინტერესების გათვალისწინებით, რომლებმაც,

მათი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება გადაწონონ მშობლის ინტერესები (იხ. *Diamante and Pelliccioni v. San Marino*, no. 32250/08, § 176, 27 September 2011).

51. მოცემულ საქმეში, სასამართლო ადგენს, რომ ლიეტუვის ხელისუფლების ვალდებულება, გაეწია დახმარება ამ უაღრესად კონფლიქტურ სამართალწარმოებაში, შესრულებული იყო. სინამდვილეში, ბავშვზე ზრუნვის ორგანოებმა, სასამართლოს მიერ დანიშნულმა ფსიქოლოგებმა და ეროვნულმა სასამართლოებმა არაერთხელ გააფრთხილეს ორივე მშობელი, რომ მათი შფოთვა და ინტერესები არ უნდა სჭარბობდეს ბავშვის ინტერესებს. სასამართლოს მიერ დანიშნულმა ფსიქოლოგმა ნახა და გასინჯა ბავშვი, მოგვიანებით კი ფსიქოლოგის მომსახურება მომჩივნის განკარგულებაში გადავიდა; ეს ფსიქოლოგი აქტიურად იყო ჩართული მომჩივნის შვილთან დაკავშირების მცდელობებში. ფსიქოლოგის შემდგომი დასკვნა, რომ ფიზიკური ძალა არ იყო ისეთი ზომა, რომელიც უნდა გამოყენებულიყო იმ სიტუაციაში, როდესაც ბავშვს არ სურდა მამასთან წასვლა, უტოლდება სასამართლოს პოზიციას, რომ მშობლისა და შვილების გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით იძულების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა იყოს შეზღუდული (იხ. *Hokkanen v. Finland*, 23 September 1994, § 58, Series A no. 299-A, და *Z.J. v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 98, სხვა მითითებებთან ერთად). სასამართლომ ასევე ფსიქოლოგს დაავალა შუამავლობა ბავშვის ა.ბ.-სგან მომჩივნისთვის გადაყვანის დროს, თუმცა ა.ბ.-ს არათანამშრომლობითი ქცევის წინაშე ფსიქოლოგები უძლურები იყვნენ. ბავშვზე ზრუნვის ორგანოები ასევე რეგულარულად ეხმარებოდნენ სასამართლოებსა და მომჩივანს, მომჩივნის შეკითხვებზე პასუხის გაცემით და წინადადებების მიცემით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღსრულებულიყო სასამართლოს ბრძანებები მომჩივნებსა და მის შვილს შორის კონტაქტის შესახებ; ისინი დაეხმარნენ ბავშვის დედას, აუხსნეს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ბავშვთან; ანალოგიურად, ამ ორგანოებს არ გაუპროტესტებიათ ბავშვის მამასთან ერთთვისანი ცხოვრება (შედარებისთვის იხ., *Ignaccolo-Zenide v. Romania*, no. 31679/96, § 112, ECHR 2000-I). სინამდვილეში, თავად მომჩივანმა აღიარა, რომ ბავშვზე ზრუნვის ორგანოებმა სასამართლოში მხარი დაუჭირეს მის მხარეს დავაში. რაც შეეხება ეროვნულ სასამართლოებს, ისინი ემოციურად მიუდგნენ მომჩივნის სიტუაციას, როდესაც უარყვეს ა.ბ.-ს პრეტენზიები მომჩივნის შვილთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ იმ მიზეზით, რომ ეს ბავშვისთვის საზიანო იქნებოდა და ამის ნაცვლად მოუწოდეს ა.ბ.-ს არა მხოლოდ თავი შეეკავებინა ამ კონტაქტისთვის ხელის შეშლისგან, არამედ აქტიურად წახალისებინა იგი. ასევე, სასამართლოებმა ხაზი გაუსვეს ბავშვის დედის მხრიდან პირდაპირი და შეუფერხებელი კონტაქტის აუცილებლობას და არსებითად დააკმაყოფილეს მომჩივნის ყველა მოთხოვნა ბავშვთან მისი კონტაქტის მოდალობებთან დაკავშირებით და ასევე დაადგინეს, რომ ბავშვის გადაყვანა

ნეიტრალურ გარემოში უნდა მომხდარიყო, რაც გაცილებით სასარგებლო იყო ბავშვის მამასთან შეხვედრებისთვის.

52. ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლო აღიარებს, რომ მომჩივნის ლიეტუვაში ასზე მეტი ვიზიტის მიუხედავად, მისი კონტაქტი ბავშვთან ძალიან შეზღუდული იყო. სასამართლო ამ ფაქტს სამწუხაროდ მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ სასამართლო წარმოების *de jure* არცერთ ეტაპზე მომჩივანისთვის არ ყოფილა აკრძალული შვილთან კონტაქტი (იხ. *Elsholz*, ციტირებული ზემოთ, § 49, და *Kutzner v. Germany*, no. 46544/99, § 67, ECHR 2002-I). და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მომჩივნისთვის ნაკლებად დამამშვიდებელი იყოს, აღმასრულებლის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე, ა.ბ. ორჯერ დაჯარიმდა კონტაქტის შესახებ ბრძანების შეუსრულებლობის გამო. ამგვარად, სახელმწიფო არ რჩებოდა პასიური დამკვირვებლის როლში.

53. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ საქმის ფაქტებიდან გამომდინარე, ლიეტუვას ხელისუფლებას არ შეიძლება დაეკისროს ბრალი მომჩივნის დახმარების ვალდებულების შეუსრულებლობაში, მიუხედავად ა.ბ.-ს მხრიდან თანამშრომლობის არარსებობისა. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია მომჩივნის მიერ შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუწურავობასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს

(დ) დასკვნა

54. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.